ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡᲐ, ᲨᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 301 (11912)

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1960 Წ.

ᲤᲐᲡᲘ 20 კაპ.

Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 27 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა გააკეთა განცხადება კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის გამო, რომელიც მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1960 წლის 14 დეკემბერს.

არის საფუძველი მივიჩნიოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დეკლარაცია როგორც იმ ქვეყნების დიდი გამარჯვება, რომლებსაც უკავიათ თანამიმდევრული პოზიცია მშვიდობისა და ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, ეს სოციალისტური სახელმწიფოების დიდი გამარჯვებაა, რომლებიც განუხრელად უპირველეს მხარს ყველა ჩაგრული ხალხის ეროვნულ განთავისუფლებასა და აღორძინებას, ეს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის დიდი გამარჯვებაა, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ეს, ბოლოს, დასავლეთის მთელი მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ქვეყნებისა და ძალების გამარჯვებაა.

ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ საბჭოთა წინადადებების არსი, რომლებიც თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია კეთილშობილური ლენინური იდეებით ერებისა და ხალხების თავისუფლების, თანასწორობისა და მეგობრობის შესახებ, გამოიხატა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებაში. ამრიგად, საბჭოთა დეკლარაცია შეიძლება მივიჩნიოთ როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დადგენილების პოლიტიკური დასაბუთება.

გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დეკლარაცია, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, გვიჩვენებს, თუ რამდენად გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენს დროში სამარცხვინო კოლონიური მონობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტი. კაპიტალისტური ქვეყნებიც კი, ისეთები, როგორიც არის ავსტრია, შვეიცია, დანია, ნორვეგია, ფინეთი, კანადა, ახალი ზელანდია და ბევრი სხვა, შეუერთდნენ გადაწყვეტილებას კოლონიალიზმის ლიკვიდაციის შესახებ.

ყოველივე ეს მოწმობს, განაგრძობს ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა მთავრობის მტკიცებათა სისწორეს, მათ შორის ჩვენს მიერ შეტანილ დეკლარაციაშიც, რომ კოლონიალიზმი მძიმე ტვირთი გახდა ყველა ქვეყნისა და ხალხისათვის, რომ მისი აღსასრული მოახლოვდა და იგი უნდა დასამარდეს. საბჭოთა ადამიანები სულით და გულით მეესალმებიან კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტის გაფართოებას.

უწოდებს რა კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის მიღებას „დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებას“, ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ ხალხებს შეუძლიათ მიულოცონ თავიანთ თავს „დიდი წარმატება“.

დიდი მნიშვნელობა კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო ფრონტის განმტკიცებისა, რაც ამჟამად მიმდინარეობს, ის არის, ხაზგასმით აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ კოლონიალიზმის ყველა სახეობისა და გამოვლინების ნგრევასთან ერთად დაინგრევა კედლები, რომლებიც იმპერიალიზმმა აღმართა სხვადასხვა ხალხსა და ქვეყანას შორის. კიდევ უფრო სწრაფად დაინგრევა უნდობლობა ერებსა, ხალხებსა და ტომებს შორის, რაც საუკუნეების მანძილზე ინერგებოდა, გაიზრდება და განმტკიცდება მათი ძმური სოლიდარობა და თანამშრომლობა. ამით უფრო მტკიცე საფუძველი ეყრება სხვადასხვა წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას.

რა თქმა უნდა, აცხადებს ნ. ს. ხრუშჩოვი, ჩვენ არ შეგვიძლია არ დავინახოთ განსხვავება იმ გადაწყვეტილებასა, რომელიც მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, და დეკლარაციას შორის, რომელიც მის განსახილველად შეიტანა საბჭოთა მთავრობამ. საბჭოთა კავშირის დეკლარაცია გაცილებით უფრო ვრცელი და საფუძვლიანია, ნათელი და თანამიმდევრულია, იგი შეიცავს თანამედროვე კოლონიალიზმის მწვავე და ღრმა კრიტიკას, გამოხატავს კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობის ინტერესებს. საბჭოთა მთავრობის წინადადებანი უფრო მკაფიოა. მათი მიზანია საფუძვლიანად გადაისინჯოს სახელმწიფოთა და ხალხთა ის ურთიერთობა, რომელიც მემკვიდრეობად მიღებულია ძველი დროიდან, როცა მსოფლიოში იმპერიალიზმი ბატონობდა. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებანი უფრო სრულად შეესაბამებიან დროის მომწიფებულ მოთხოვნებს, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა მისწრაფებებს.

ნ. ს. ხრუშჩოვი აცხადებს, რომ საბჭოთა დეკლარაციის სხვადასხვა კარს ხმა მისცა 25-დან 32-მდე ქვეყანამ და 29-30 ქვეყანამ თავი შეიკავა. სხვანაირად რომ ვთქვათ, საბჭოთა პროექტს ხმა მისცეს ქვეყნებმა, სადაც ცხოვრობს კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობა. ამრიგად, საბჭოთა დეკლარაციის იდეები შეესაბამებიან დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს, როგორც ფართო პოლიტიკური პლატფორმა კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ კოლონიურმა სახელმწიფოებმა თავი შეიკავეს კენჭისყრაში, მათ არ დაუჭირეს მხარი რეზოლუციას არასრული სახითაც კი. ცხადია, რომ კოლონიური სახელმწიფოების ეს საქციელი მოწმობს მათ მისწრაფებას შეინარჩუნონ და დაიცვან ძირმომპალი კოლონიური სისტემა. ეს უნდა გაითვალისწინოს ყველა ხალხმა.

სისხლისმღვრელი ომები ალჟირში, კონგოში, ლაოსში, ხრიკები დამოუკიდებელი კუბისა და ბევრი სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, აცხადებს ნ. ს. ხრუშჩოვი, მჭევრმეტყველურად მოწმობენ, რომ კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ მოითხოვს ძალების დიდ დაძაბვას. ახლა მთავარი ამოცანაა მივაღწიოთ იმას, რომ განხორციელდეს ხალხთა ნება, რომელიც გამოხატულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციაში, რომ ამ დეკლარაციაში გამოცხადებული მოთხოვნები ქაღალდზე კი არ დარჩეს, არამედ განხორციელდეს პრაქტიკულ საქმეებად.

თუ კოლონიური სახელმწიფოები, ნათქვამია განცხადებაში, რომლებიც ბრძოლაში იწვევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, კვლავაც ხელს შეუშლიან ჩაგრული ხალხების განთავისუფლებას და წინ აღუდგებიან მათ დამოუკიდებლობას, ამ ხალხებს სხვა არა დარჩენიათ რა, გარდა იმისა, რომ მტკიცე ბრძოლაში აღგავონ ყველა დაბრკოლება, რომლებსაც მათ გზაზე უქმნიან. და ამ ბრძოლაში ისინი მარტონი როდი დარჩებიან.

ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა ამაყობს იმით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიული გადაწყვეტილება კოლონიალიზმის ლიკვიდაციის შესახებ მიღებულია სოციალისტური საბჭოთა სახელმწიფოს ინიციატივით.

რა დაბრკოლებებიც უნდა შექმნან კოლონიზატორებმა, ნათქვამია დასასრულ განცხადებაში, მძარცველური და ავაზაკური წესები, რომლებიც იმპერიალიზმმა დაამყარა, აუცილებლად აღმოიფხვრება და ისტორიის სანაგვეზე გადაიყრება. მთელი მსოფლიოს ხალხები მოელიან ამ დროს და იბრძვიან მისი მოახლოებისათვის.

ᲔᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ გადაღებულია მიმდინარე წლის სექტემბერში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის XV სესიაზე. ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრება აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლებს.
ფოტო საკდესის სპეციკორესპონდენტის ვ. ეგოროვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

• • •

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲩᲕᲔᲜ, საქართველოს პარტიული აქტივის რესპუბლიკური კრების მონაწილენი სიხარულით მოგახსენებთ, რომ რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას იმ წარმატებათა გამო, რომლებიც მიღწეულია 1960 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

მიტინგებზე, რომლებიც ყველგან მიმდინარეობს მასების მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ნიშნით, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული მუშაკები სულითა და გულით მხურვალე მადლობას უძღვნიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძე, იმ მაღალი შეფასებისათვის, რომელიც მიეცით მათს წვლილს ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საერთო სახალხო საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება სასახარულო, შთამაგონებელი დოკუმენტია, რომელიც რაზმავს საქართველოს მშრომელებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის საბრძოლველად.

ჩვენს წარმატებებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში, მძლავრი სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის შექმნაში, უნდა ვუმადლოდეთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ დახმარებასა და ყურადღებას.

შევდივართ რა შვიდწლედის მესამე წელში, ჩვენ ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ კიდევ უდიდესი გამოუყენებელი რეზერვებია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად. ჩვენი შრომის მაღალი შეფასების პასუხად ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ მნიშვნელოვნად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, შევამცროთ პროდუქციის თვითღირებულება და ვადამდე შევასრულოთ შვიდწლედის დავალებანი. აიღეს რა პირველი მიჯნები, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პირნათლად შეასრულონ საპატიო ამოცანა — შვიდწლედის დამლევისათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ყოველწლიური კრეფა გაადიდონ 200.000 ტონამდე, გაზარდონ ბაღებისა და ვენახების ფართობი, მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი ხილი, ციტრუსი, კარგი ხარისხის ღვინო, თამბაქო, დაფნის ფოთოლი, აბრეშუმის პარკი, მეცხოველეობის პროდუქტები.

ჩვენ, რესპუბლიკური პარტიული აქტივის მონაწილენი, საქართველოს ყველა მშრომელის სახელით მხურვალე სალამს ვუთვლით კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, მშობლიურ საბჭოთა მთავრობას და აღვუთქვამთ, რომ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა განვახორციელოთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის დიდებული ამოცანები, და ამით ღირსეულად შევხვდებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლისთავს.

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და შთამაგონებელს!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ.

ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

I.

ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ მრეწველობის მუშაკებმა შვიდწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გაწეული სოციალისტური შეჯიბრების შედეგად ვადამდე, 27 დეკემბერს, შეასრულეს ქვანახშირის ამოღების 1960 წლის დავალება.

წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით ამოღებულ იქნება დაახლოებით 7 მილიონი ტონა ქვანახშირი.

II.

ასრულებენ რა სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს საბჭოთა ადამიანების მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გაფართოების შესახებ, მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს მსუბუქი მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების 1960 წლის გეგმა.

ზედა და სასაცვლე ტრიკოტაჟის წარმოების წლიური გეგმა შესრულდა 16 დეკემბერს, ბამბის ქსოვილებისა — 21 დეკემბერს, სელის ქსოვილებისა — 24 დეკემბერს, შალის ქსოვილების, ტყავის ფეხსაცმლისა და წინდებისა — 26 დეკემბერს, აბრეშუმის ქსოვილებისა — 27 დეკემბერს.

წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოებულ იქნება სხვადასხვა ქსოვილი, ტყავის ფეხსაცმელი, ზედა და სასაცვლე ტრიკოტაჟი და წინდები.

III.

საცალო საქონელბრუნვის 1960 წლის სახელმწიფო გეგმა შესრულდა ვადამდე — 27 დეკემბერს.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1960 წელს შეადგენს დაახლოებით 778 მილიარდ მანეთს. ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲡ შედარებით საცალო საქონელბრუნვა შესადარ ფასებში 11 პროცენტით გადადდება.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხურვალედ მოულოცეს მოსკოვის ოლქის მშრომელებს შრომითი გამარჯვება — მრეწველობის პროდუქციის გამოშვების 1960 წლის სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულება, მისალმებაში გამოთქმულია რწმენა, რომ მოსკოვის ოლქის მშრომელები კიდევ უფრო მტკიცედ იბრძოლებენ მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებელთა გაუმჯობესებისათვის, ახალ-ახალ წარმატებას მიაღწევენ შვიდწლედის მესამე წელს და თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენების საქმეში.

თავიანთ პატაკში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისადმი მოსკოვის ოლქის მშრომელები ღრმა კმაყოფილებისა და დიდი სიხარულის გრძნობით მოახსენებენ, რომ 1960 წლისათვის ნაკისრი ვალდებულებები წარმატებით შესრულეს.

მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა და უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა წარმოების სახელმწიფო გეგმა შესრულდა ვადამდე, 20 დეკემბერს.

ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲒᲚᲘᲜᲐᲕᲘ ᲒᲘ�გᲐᲜᲢᲘ

ᲣᲤᲐᲜᲝᲕᲘ, 25 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ილიჩის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა უწყვეტი თხელფურცლოვანი დგანი „1700“ — ყველაზე მძლავრი აგრეგატი ასეთი ტიპის აგრეგატებს შორის. ათასობით მშენებელი და მეტალურგი მოვიდა ახალ საამქროში, უმაგალითოდ რეკორდულ ვადაში აშენებული დგანი-ავტომატის საზეიმო ამუშავებაზე.

და აი, პირველი თეთრად გავარვარებული ზოდი გამოვიდა სახურებული ღუმელიდან. მრავალტონიანი ნამზადი ორწუთნახევარში გადაიქცა გრძელ და ფართო ფოლადის ლენტად. უზარმაზარი საამქროს ბოლოს დადგმული სპეციალური მექანიზმებით ზოლი რულონებად დაეხვია.

საგლინავი გიგანტი ამუშავდა. ამ მოვლენის აღსანიშნავად ქარხანაში გაიმართა მიტინგი.

ᲐᲥ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ ᲓᲔᲙᲐᲒᲠᲘᲡᲢᲘ ᲞᲔᲡᲢᲔᲚᲘ

ᲢᲣᲚᲩᲘᲜᲘ (ᲕᲘᲜᲘᲪᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ), 25 დეკემბერი. (საკდესი). 26 დეკემბერს სრულდება პეტერბურგში დეკაბრისტთა აჯანყების 135 წლისთავი. დეკაბრისტთა სამხრეთის საზოგადოების საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტულჩინთან, ქალაქის ცენტრში დარჩენილია პატარა სახლი, რომელშიც 1818 წლიდან 1825 წლამდე ცხოვრობდა სამხრეთის საზოგადოების დამაარსებელი და ხელმძღვანელი პავლე ივანეს-ძე პესტელი.

კარგადაა შენახული ის სახლიც, რომელშიც დეკაბრისტები იკრებებოდნენ. ამ შენობაში ახლა მოწყობილია ტულჩინის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მუზეუმის მრავალრიცხოვანი ექსპონატები ასახავენ დეკაბრისტთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას ტულჩინსა და უკრაინის სხვა ქალაქებში.

ამ ისტორიულ ადგილებს ახლა ვინაცის ოლქის მრავალი მშრომელი ათვალიერებს. ტულჩინის რაიონის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და სკოლებში ეწყობა დეკაბრისტთა სამხრეთის საზოგადოების საქმიანობისადმი მიძღვნილი ლექციები და საუბრები. ბიბლიოთეკებში გახსნილია დეკაბრისტებისადმი მიძღვნილი მხატვრული ლიტერატურის გამოფენები.

„ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲐᲡᲐᲙᲘ“ ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ს. ნარინიანის კომედია „სახიფათო ასაკი“.

პიესის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ თ. კანდინაშვილს, მხატვარია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ირ. შტენბერგი, მუსიკა — ა. ქელტუხინისა, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ე. სატინა, ა. სმირანინი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ბელოუსოვა, მსახიობები ვ. სიმონი, არ. გომიაშვილი, ი. შევჩუკი და სხვ.

სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

სპექტაკლს ესწრებოდნენ ამხანაგები **ვ. პ. მეჟავანაძე, გ. ნ. ჯიბლაძე.**

ᲙᲘᲜᲙᲚᲐᲒᲐ ᲙᲝᲜᲒᲝᲔᲚ ᲛᲔᲐᲛᲒᲝᲮᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 28 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტაბეიდან იუწყება, ჩანკაშელთა სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ გამოაცხადა, რომ „პილოტების საჭირო მომზადების დამთავრების შემდეგ ამერიკელების მიერ მიწოდებული ყველა „F-100“ ტიპის ზებგერითი რეაქტიული ავიაგამანადგურებელი გადაეცემა საბრძოლო ესკადრილიებს“.

ᲙᲘᲜᲙᲚᲐᲒᲐ ᲙᲝᲜᲒᲝᲔᲚ ᲛᲔᲐᲛᲒᲝᲮᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 27 დეკემბერი. (საკდესი). მაშინ როცა კონგოს აღმოსავლეთ პროვინციაში კვლავ მოქმედებს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგას პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ანტუან გიზენგა, მეამბოხეთა ლეოპოლდვილის ბანაკში უსტრპატორთა ცალკეულ დაჯგუფებებს შორის გაჩაღებულია კინკლაობა ხელისუფლებისათვის.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, მობუტუელმა „იუსტიციის კომისარმა“ ლიხუმ გუშინ განაცხადა, რომ მეამბოხეებს განზრახული აქვთ „შეინარჩუნონ თავიანთი მთავრობის ხელისუფლება“, რადაც მათ მიაჩნიათ „გენერალურ კომისართა საბჭო“, და „თუ საჭირო იქნება, ძალითაც კი“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომუნისტები და ყველა მშრომელი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი ყურადღებითა და ინტერესით სწავლობენ და ერთსულოვნად იწონებენ ისტორიულ დოკუმენტებს — კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებას და მიმართვას მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი.

გუშინ, 28 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, დიდი პოლიტიკური ალმაცერის ვითარებაში გაიმართა რესპუბლიკური პარტიული აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგებს.

მქუხარე ტაშის გრიალით კრების საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

მოხსენება 1960 წლის ნოემბერში მოსკოვში გამართული კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგების შესახებ გაკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მეჟავანაძემ.**

კომუნისტური და მუშათა პარტიების ნოემბრის თათბირი, თქვა ამხ. მეჟავანაძემ, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მოვლენაა, რომელიც ღრმა კვალს დატოვებს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში, და მოაქსწავებს ახალ ეტაპს მის განვითარებაში.

ამხ. მეჟავანაძემ დაწვრილებით გააანალიზა თათბირის მუშაობა და მის მიერ მიღებული დოკუმენტების — განცხადებისა და მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართვის — შინაარსი. მან აღნიშნა უდიდესი მნიშვნელობა ამ დოკუმენტებისა მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებით განვითარებაში, თანამედროვე მსოფლიოს განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანი შეთანხმებული პოზიციების გამომუშავებაში.

მოსკოვის 1960 წლის თათბირი, — თქვა მომხსენებელმა, — კომუნისტების ყველაზე უფრო წარმომადგენლობითი კრებაა, რომელიც ოდესმე თუ გამართულა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიაში. თათბირმა თვალნათლივ დაადასტურა მსოფლიო კომუნიზმის ძალების ზრდა.

განცხადებასა და მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართვაში, რომლებიც თათბირმა მიიღო, განზოგადებულია მსოფლიო სოციალისტური სისტემის უდიდესი გამოცდილება და შესანიშნავი გამარჯვებანი, ჩამოყალიბებულია მისი განვითარების კანონზომიერებანი. ამ დოკუმენტებში გამოხატულია მარქსისტულ-ლენინური პარტიების საერთო შეხედულებანი სოციალიზმისა და კომუნიზმის შენებლობის, მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარებისა და კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის გამარჯვებისათვის ბრძოლის ძირეულ საკითხებზე. ამ დოკუმენტების ერთსულოვნად მიღება მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის უდიდესი წარმატებაა.

ამხ. მეჟავანაძე დაწვრილებით შეეხო მშვიდობისათვის ბრძოლის პრობლემებს, რომელთაც თათბირმა დიდი ყურადღება დაუთმო. თათბირმა დაადასტურა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობის ის დასკვნები, რომ ახლა ომის ფატალური გარდუვალობა არ არსებობს. მსოფლიო სოციალისტური ბანაკის ქვეყნების, ყველა ქვეყნის მუშათა კლასის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთობლივი ღონისძიებებით, ქვეყნებისა, რომლებიც გამოდიან ომის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის ყველა მებრძოლის ძალებით ომი შეიძლება თავიდან ავიცილოთ, მაგრამ აქედან როდი გამომდინარეობს ის, რომ ხალხებმა შეანელონ ბრძოლა ომის საფრთხის წინააღმდეგ.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა თათბირის ის დასკვნისა, რომ ბრძოლა ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ უნდა გავშალოთ ისე, რომ არ დაველოდოთ, სანამ ჩამოცვივდეს ატომური და წყალბადის ბომბები. საჭიროა ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ ხალხთა სიფხიზლე, დავრაზმოთ მათი ძალები მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ამხ. მეჟავანაძე ლაპარაკობს კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობისა და შეკავშირების უდიდეს მნიშვნელობაზე, რაც ცხადყო მოსკოვის თათბირმა. თათბირის მთელმა მუშაობამ და დოკუმენტებმა მთელი ძალით ხაზი გაუსვეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ურღვევ ერთიანობას მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი პრინციპების საფუძველზე, რომ საჭიროა მტკიცე ბრძოლა რევიზიონიზმის — როგორც მთავარი საფრთხის — წინააღმდეგ, დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ.

თავისი მოხსენების ნაწილი ამხ. მეჟავანაძემ მიუძღვნა იმ წარმატებათა დახასიათებას, რაც საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს 1960 წლის სახალხო-საბერნო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს შვიდწლედის მესამე წელს.

— კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, — თქვა მომხსენებელმა, — რომ საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მშრომელები, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, თავიანთ ვალს საბჭოთა ხალხის წინაშე. გასული წელი პირველი წელი იყო ჩვენს რესპუბლიკაში, როცა გადადგა დიდი ნაბიჯი წინ, ჩვენი სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქციის — ჩაის წარმოების გადიდების საქმეში. სახელმწიფოს ჩაბარდა თითქმის 157 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას, რომელიც მიღებულია მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობის

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐ

*ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠ

ერთიანობა და შეკავშირება

(დასასრული)

განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის, საქართველოს მშრომელები უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ, იგი მოგვიწოდებს ახალი მიღწევებისაკენ შვიდწლიანი გეგმის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

სამეურნეო მშენებლობაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში მოპოვებული წარმატებებით, — თქვა ამხ. მეჟავანაძეს, — ჩვენ განვამტკიცებთ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას და ამით მთელი მსოფლიო სოციალისტური ბანაკის ძალასა და ძლიერებას. ეს წარმატებანი განამტკიცებენ საბჭოთა ხალხის წვლილს იმ ამოცანების გადაჭრის საქმეში, რომლებიც წამოყენებულია ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიებისა და მშრომელთა წინაშე მათს ბრძოლაში მშვიდობისათვის, კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციისათვის, სოციალიზმისათვის.

დასასრულ მომხსენებელმა მოუწოდა აქტივის მონაწილეებს კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშის გარშემო, ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მტკიცედ წავიდეთ წინ, კომუნიზმისაკენ.

დარბაზში დიდხანს არ შეწყვეტილა ტაში დიადი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პატივსაცემად, მისი ცენტრალური კომიტეტის ჰატივსაცემად, რომელსაც ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს.

აქტივის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენება და შემდეგ დაიწყეს მისი განხილვა. ზედიზედ ადიან ტრიბუნაზე ორატორები. ისინი აღფრთოვანებით ლაპარაკობენ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის ისტორიულ მნიშვნელობაზე, იმაზე, რომ საქართველოს მშრომელები მხურვალედ იწონებენ თათბირზე მიღებულ დოკუმენტებს.

— საქართველოს დედაქალაქის მშრომელებს, — თქვა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **კ. გარდაფხაძემ**, — კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის მიერ მიღებული დოკუმენტები მიაჩნიათ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, მთელს ჩვენს პლანეტაზე კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლის ნათელ პროგრამად. ამ ამაღლებულმა დოკუმენტებმა მასების უდიდესი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ქალაქის მრეწველობამ უკვე 15 დეკემბრისათვის შეასრულა წლიური გეგმა, და ახლა პროდუქციას უშვებს შვიდწლედის მესამე წლის ანგარიშში. საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ მათი შთამაგონებელი შრომა ჩვენი დიადი სამშობლოს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბურჯის ძლიერებისა და უძლეველობის საწინდარია.

სიტყვას ამბობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი **ს. ნერეთელი.** მოსკოვის თათბირის მიერ მიღებული დოკუმენტები, ხაზგასმით აღნიშნავს იგი, წარმოადგენენ მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების შესანიშნავ ნიმუშს, ამ დოკუმენტებში მოცემულია ამ უკანასკნელ ხანს მსოფლიოში მომხდარი უდიდესი ცვლილებების ღრმა მეცნიერული ანალიზი, დასახულია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების შემდგომი წინსვლის ნათელი პერსპექტივები.

აღფრთოვანებით ლაპარაკობს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის ისტორიულ მნიშვნელობაზე თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ზენაკალი **ვ. პაპიაშვილი.** მოსკოვის თათბირმა ცხადყო ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის ერთიანობა. ჩვენი მუშები ამბობენ: მშვიდობის საქმე საიმედო ხელშია! ჩვენ შეგვიძლია მშვიდად და მტკიცე რწმენით ვიშრომოთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ახალი აყვავებისათვის, კომუნიზმის აშენებისათვის!

— კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დოკუმენტები, — ამბობს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **კ. ჯიოევი,** მოწმობენ კომუნისტური მოძრაობის დიდ როლს თანამედროვე მსოფლიოში, მოძრაობისა, რომელიც გადაიქცა საზოგადოებრივი პროგრესის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად. მოსკოვის თათბირის შთამაგონებელმა მოწოდებამ ერთხელ კიდევ აღფრთოვანა მილიონობით ადამიანი. მთელ მსოფლიოში თავისუფლებისათვის, პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. სამხრეთ ოსეთის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები დიდი აღმავლობით შეხვდნენ თათბირის შედეგებს. ოლქის პარტიული ორგანიზაცია ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შორის ეწევა დიდ მუშაობას კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დოკუმენტების პროპაგანდისათვის, ამ თვალსაჩინო მოვლენის უდიდესი მნიშვნელობის განმარტებისათვის.

რესპუბლიკის ქალიშვილთა და ჭაბუკთა სახელით სიტყვას ამბობს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. შევარდნაძე.** მიმდინარე წლის შემოდგომაზე, ამბობს იგი, საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში მეც ვიყავი, ეწვია საფრანგეთს. მაგონდება შეხვედრა და გულახდილი დისკუსია, რომელიც გაიმართა ჩვენსა და სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების 25 ორგანიზაციის წარმომადგენლებს შორის. ფრანგმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა უდიდესი ინტერესი გამოიჩინეს საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრებისადმი. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სკეპტიკურად მოეკიდნენ ჩვენს ნაამბობს. მაგრამ დიდმა უმრავლესობამ ჩვენდამი გამოჩინა უდიდესი სიმპათია და პატივისცემა.

ყველა ქვეყნის ახალგაზრდობამ კარგად იცის თუ რა შესანიშნავი პერსპექტივებია გადაშლილი საბჭოთა ქალიშვილებისა და ჭაბუკების წინაშე. მათ შექმნილი აქვთ ყველა პირობა თავიანთი ძალებისა და შემოქმედებითი ნიჭის ყოველმხრივი განვითარებისათვის. ისინი მშობლიური კომუნისტური პარტიის დიდი ერთგული არიან და ყოველთვის იქნებიან მისი თანაშემწენი მშვიდობისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ტრიბუნაზეა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მგლინავი **ვ. კალმიკოვი.**

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ამბობს იგი, ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი სამშობლო მეთაურობს მებრძოლთა მოძრაობას სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. ეშმარიტად ტიტანურ მუშაობას ეწევა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ჩვენი ხალხების მეგობრობისა და ნდობის განმტკიცებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. მთელი მისი მგზნებარე მოღვაწეობა, გამსჭვალულია უდიდესი რწმენით მშრომელი ხალხისადმი, ზრუნვით ახლანდელი და მომავალი თაობების ბედისათვის.

— კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირმა, — ამბობს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტმმართველოს უფროსის მოადგილე **გ. იაკიმოვი,** დაადასტურა სკკპ XX ყრილობაზე ჩამოყალიბებული დებულება იმის შესახებ, რომ ომადად არ არსებობს ომის ფატალური გარდაუვალობა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია დავივიწყოთ ომის წარმოშობის შესაძლებლობა. სანამ არსებობს იმპერიალიზმი, რჩება ნიადაგიც ავრესიული ომების წარმოშობისათვის. იციან რა ეს, ჩვენი პარტია და მთავრობა ყოველივე აუცილებელს აკეთებენ იმისათვის, რომ გაადიდონ ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა. საბჭოთა მეომრებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ სიფხიზლე და საბრძოლო მზადყოფნა — ის მთავარი რამ არის, რასაც მოითხოვს მათგან თანამედროვე საერთაშორისო ვითარება. ისინი მტკიცედ იმაღლებენ საბრძოლო მზადყოფნას, ეუფლებიან პირველხარისხოვან სამხედრო ტექნიკასა და იარაღს.

ახალი წელი, ახალი ფული

ფულუკიძე. (საკ. კორ.). **რაიონში გაცხოველებით ემზადებიან ფულის გამოცვლისა და ახალი ფასების ვაჭრობისათვის.**

რაიკოოპკავშირის ქალაქისა და სოფლის სავაჭრო ქსელში მთავრდება სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასების გადაანგარიშებისა და ინვენტარიზაციის სამუშაოები. მაღაზიები მომარაგებულია იარლიყებით, რომლებზეც ამჟამად არსებულ ფასებთან ერთად აღნიშნულია ახალი ფასები.

1961 წლის 1 იანვრიდან რაიონში მუშაობას შეუდგება ფულის გადასაცვლელი ხუთი პუნქტი, რისთვისაც შერჩეულია სათანადო შენობები. ფულის გადაცვლის ერთი პუნქტი იმუშავებს ქალაქში, ხოლო ოთხი — სოფლად: ღანირ-ქვიტირში, კუხში, ნახახულევსა და გორდში. პუნქტები დაკომპლექტებულია კვალიფიციური მუშაკებით.

ვაჭრობის მუშაკებს სათანადო ინსტრუქტაჟი გაეწიათ ახალი ფულითა და ფასებით ვაჭრობის, აგრეთვე სახელმწიფო ბანკის განყოფილებასთან ოპერაციების წარმოების საკითხებზე. ამ დღეებში გაიმართა რაიონული თათბირი, რომელმაც კონკრეტული ღონისძიებანი დასახა ფულის გადაცვლისა და ახალი ფასებით ვაჭრობისა და ანგარიშსწორების ორგანიზებულად მოწყობისათვის.

წარმატებები 1961 წელს!

ბორჯომი, 28 დეკემბერი. (საქსი). **რაიონის მშრომელებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებამ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი.**

შვიდწლედის მეორე წელს მაღალნაყოფიერად იმუშავეს მეცხოველეებმა, მნიშვნელოვნად გაადიდეს ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, ტყავნედლეულის წარმოება. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა მათ ჯერ კიდევ ივლისის შუა რიცხვებში შეასრულეს, ამის შემდეგ იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 6.364 ცენტნერი ხორცი — ორჯერ და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე წლიური გეგმით იყო გათვალისწინებული.

დიდი რაოდენობით იგზავნება რძე ბორჯომის ხეობის კურორტებზე. სახელმწიფოს მიეყიდა 20.240 ცენტნერი რძე. ეს 4.240 ცენტნერით მეტია შარშანდელთან შედარებით.

მეცხოველეებს არ ჩამოუვარდებიან მეფოსტნეები და მეხილეები. გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფომ მიიღო 20 ტონა ბოსტნეული და დიდი რაოდენობის ხილი. წარმატებებია მოპოვებული ახალი ბაღების გაშენებაში.

რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმების პასუხად კისრულობენ ახალ ვალდებულებებს.

მუშეგი ინჟინრის დიპლომით

ჟუთაისი. (საკ. კორ.). რამდენიმე წლის წინათ ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში მუშებად და ტექნიკოსებად დაიწყეს მუშაობა ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის ახლანდელმა მექანიკოსმა დ. გველესიანმა, საკონსტრუქტორო განყოფილების კონსტრუქტორმა მ. აბულაძემ, შასის საამქროს ტექნოლოგმა ეფ. თევდორაძემ, სარემონტო მექანიკური საამქროს დისპეტჩერმა კ. წიგნიავამ და თერმული საამქროს უფროსმა ტექნოლოგმა ნ. ლომთაძემ.

ახლა ყველა მათგანს აქვს ინჟინრის დიპლომი. ამ დღეებში მათ წარმატებით დაიცვეს სადიპლომო შრომები და სპეციალობით „ავტომობილები და ტრაქტორები“ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრეს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება.

127 ავტომობილმშენებელი სწავლობს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის საღამოს ფაკულტეტზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია კომუნისტური შრომის საწარმოს სახელის მოხვეჭისათვის მებრძოლმა ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულმა ქარხანამ.

საწარმოს კოლექტივმა 12 დეკემბერს სამშობლოს უპატაკა მთლიანი პროდუქციის გამოშვების წლიური საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულება. გეგმის გადამეტებით დიდი რაოდენობით გამოშვებულია ფოლადი, თუჯი, მილები და სხვა პროდუქცია.

ამ საერთო წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის კომუნისტური შრომის ბრიგადებს, ცალკეულ დამკვრელებს, რომლებიც ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით დიდი რაოდენობით იძლევიან ფოლადს, თუჯს, ნაგლინს და სხვ.

სურათზე: მოწინავე მებრძმედე ნ. ლეკიაშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა.

დეკუჭაჯი იჩენს თაოსნობას

ჩვენს სასოფლო საბჭოში — სამი კოლმეურნეობა შემოდის „ზემო ქართლი“, სატივისა და ნაბახტევისა. ამ სასოფლო-სამეურნეო არტელების მეურნეობის ყველა დარგი უკანასკნელ წლებში წინ მიდის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობას და მეხილეობა-მევენახეობის განვითარებას. საბჭოში შემავალმა სამივე კოლმეურნეობამ ჯერ კიდევ ნოემბრის პირველი რიცხვებისათვის გადამეტებით შეასრულა წველადობის წლიური გეგმა, უფრო ადრე კი — სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალება. კოლმეურნეობა „ზემო ქართლში“ შესრულებულია ახალი ბაღის გაშენების წლევანდელი გეგმა. გაშენებულია 22 ჰექტარი ხეხილის ბაღი. 25 ჰექტარი ხეხილის ახალი ბაღი გააშენა სოფელ სატივის კოლმეურნეობამ.

ამ წარმატებათა მოპოვებაში გარკვეული წვლილი შეაქვთ სასოფლო საბჭოს, მის დეპუტატებს, აქტივისტებს. სასოფლო საბჭოს დეპუტატები საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე მუშაობენ. დეპუტატები: მწველავი ლამბარაშვილი, ბრიგადირები სერგო ოსკანოვი, ბეჟან ბარათაშვილი, მებოსტნე მანია აბაზოღლი, მემინდვრე ანა ხაჩიძე (კოლმეურნეობა „ზემო ქართლი“), მეცხოველეობის ფერმის გამგე ზაქარია ქურდაძე, მეპარხლე თამარ ჯამბაზიშვილი, მესიმინდე შიო ნასყიდაშვილი (სატივე), მემინდვრეები ნატალია მჭედლიძე, ლევან ფაფაკერაშვილი (ნაბახტევი) ზრდიან სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობას და მეცხოველეობის პროდუქტიულობას.

დეპუტატი ნინო ლამბარაშვილი სამ პროფესიას ფლობს. იგი მწველავიც არის, მეღორეც და მეკურდღლეც. საშუალოდ ერთ ძროხაზე 3.500 კილოგრამი რძე მიიღო.

ნინომ შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა. კოლმეურნეობის გამგეობას სთხოვა მიეცა სახლში გასაზრდელად ბურვაკები და წიწილები, რომლებსაც შემდეგ სახელმწიფოს ჩააბარებდა. ლამბარაშვილი მათ სამუშაოდან თავისუფალ დროს უვლიდა. სახელმწიფოს ჩააბარა 1.200 კიბარა 1.200 კილოგრამი ხორცი. მას გადაწყვეტილი აქვს სახელმწიფოს მიჰყიდოს აგრეთვე 100 კურდღელი.

სასოფლო საბჭოს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე სისტემატურად განვიხილავთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აქტუალურ საკითხებს, ვიღებთ გადაწყვეტილებებს მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. გასული წლის შემოდგომაზე, როცა ხვნა-თესვა იყო გაჩაღებული, სასოფლო საბჭოს აღმასკომმა იმსჯელა საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში თესვის მომდინარეობის საკითხებზე. სესიის დღის წესრიგის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა, აქტივისტებმა. სესიაზე გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი. სოფლების სატივისა და ნაბახტევის კოლმეურნეობებში ჩამორჩებოდა ხვნა, ცდებოდა ტექნიკა. ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და თესვის დასაჩქარებლად აღმასკომმა მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება. ამან დადებითი შედეგი მოგვცა — კოლმეურნეობებში საშემოდგომო თესვა აგროტექნიკურ ვადებში შესრულდა.

ახლა მთავარი ამოცანაა გამოვაზამთროთ პირუტყვი. სასოფლო საბჭოს სესიამ სპეციალურად იმსჯელა სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრების მდგომარეობაზე. დაისახა საქმიანი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებას სათავეში ჩაუდგნენ სასოფლო საბჭოს აღმასკომი, დეპუტატები. ამჟამად სამივე კოლმეურნეობაში ნორმალურად მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება, ბინები დათბუნებულია, ფერმებთან მიზიდულია საკვები, პირუტყვს კარგად კვებავენ.

სასოფლო საბჭოს, მის აღმასკომს მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში მაინც აქვთ ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ ღრმად ვერ ვწვდებით საზოგადოებრივი მეურნეობის ცალკეული დარგების ეკონომიკას. აღმასკომი და სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია სუსტად მუშაობენ კოლმეურნეთა შორის მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისათვის. კოლმეურნეობებში არიან მოწინავე ბრიგადები, რგოლები, ცალკეული მემინდვრეები და მწველავები, რომელთა გამოცდილების განზოგადება დიდ დახმარებას გაუწევდა სხვებს, მაგრამ ამ საქმეს სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევთ.

მეურნეობისადმი აღმასკომის ხელმძღვანელობა უფრო კვალიფიციური და კონკრეტული იქნებოდა, სასოფლო საბჭოს შტატში აგრონომ-ეკონომისტი რომ ჰყოლოდათ.

გომის სასოფლო საბჭო, შისი აღმასკომი ყველა ღონისძიებას განახორციელებენ მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის, გაატარებენ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობასა და დახმარებას, სისტემატურად იზრუნებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

ვლ. ლურსმანაშვილი,
ხაშურის რაიონის გომის სოფლის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

დარბაზები დაამშვენა მანქანებმა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, ზამთრის მკაცრი ამინდების მიუხედავად, არ წყდება მნახველთა ნაკადი. მოსკოველები, მომძე რესპუბლიკებიდან ჩამოსული მშრომელები, უცხოელი სტუმრები გულდასმით ეცნობიან ჩვენი სამშობლოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების ბრწყინვალე წარმატებებს.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის აღსანიშნავად ახალი ექსპონატებით გამდიდრდა გამოფენის სტენდები, რომლებზეც ასახულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოპოვებული მიღწევები. ახალი ექსპონატები წარმოდგენას იძლევიან შვიდწლედის ადამიანთა გმირული შრომის შედეგებზე.

ახალი მანქანებით გამდიდრდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პავილიონი. გამოფენის ვრცელ ტერიტორიაზე განლაგებულ მანქანებს შორის ბევრს აქვს ასეთი წარწერა:

ახალი მანქანები — პლენუმის აღსანიშნავად.

ისინი ჩვენმა სპეციალისტებმა შექმნეს დიდი შვიდწლედის მეორე წელს. ბევრი მათგანი უკანასკნელ თვეებში უკვე დაინერგა სასოფლო-სამეურნეო შრომატევად წარმოებაში. ეს მანქანები კიდევ უფრო ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, აადვილებენ ადამიანის შრომას და საგრძნობლად ამცირებენ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ვიწროწყრივიანმა მისაბმელმა ახალმა სათესმა მანქანამ „სნუ-48“, რომელიც დამზადებულია უკრაინის სს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო ქარხანა „კრასნაია ზვეზდაში“. ამ სათესის უპირატესობა ბევრი მხრივ არის საინტერესო. დღემდე არსებულ „სდ-24“ სათეს მანქანასთან შედარებით ახალი სათესი მანქანის წარმადობა ცვლაში გაზრდილია 10 ჰექტარით. იგი თესავს 48 მწკრივად და არ საჭიროებს დამატებით მუშახელს. თესვის მთელ ტექნოლოგიურ პროცესს ტრაქტორისტი ემსახურება. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ტრაქტორს შეუძლია ამუშაოს სამი ასეთი სათესი ცვლაში, ერთი ტრაქტორის მომსახურების პირობებში თესვა შესაძლებელია 75-80 ჰექტარზე. სათესმა ბრწყინვალედ ჩაბარა შემოწმებითი გამოცდა. დაიწყო მისი მასობრივი გამოშვება. მომავალი წლიდან ის ფართოდ დაინერგება წარმოებაში.

ამავე ქარხანაში დამზადებული მისაბმელი ახალი სათესი მანქანა „სზტნ-47“, რომელიც წარმოდგენილია გამოფენაზე, საშემოდგომო თავთავიანი კულტურების 24 მწკრივად თესვის პარალელურად აწარმოებს მრავალწლიანი ბალახების ჩათესვას 23 მწკრივად. მას ცალცალკე აქვს მოწყობილი მარცვლეულისა და ბალახის სათესლე ყუთები. მარცვლეულისა და მრავალწლიანი ბალახების ერთდროული თესვა ერთისამად და უფრო მეტად ზრდის შრომის ნაყოფიერებას. აღსანიშნავია, რომ ამ სათესსაც ტრაქტორისტი ემსახურება და არ ესაჭიროება დამატებითი მუშახელი, რადგან ტრაქტორი აღჭურვილია სათესის მარეგულირებელი მოწყობილობით.

მევენახეობის აღმავლობისა და განვითარების ამოცანა მოითხოვს საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას. ამ დარგში ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით. ვენახის ხვნა, ბორდოს ხსნარის შესხურება და გოგირდის შეფრქვევა, მთელი რიგი შრომატევადი სამუშაოები მანქანებით სრულდება. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

მევენახეობაში კომპლექსური მექანიზაციისათვის მანქანების სიტემის შესაქმნელად სამეცნიერო დაწესებულებები მონდომებით მუშაობენ. მევენახეობაში კომპლექსური მექანიზაციის - სისტემას შეეფატა ვაზის სარგავი „ბვ-2“ ახალი მანქანა, რომელიც მოწყობილია „დტ-54“ სისტემის ტრაქტორზე. ტრაქტორის წინა ნაწილზე მოთავსებულია 600 ლიტრის ტევადობის წყლის ავზი, რომლის ორივე მხარეზე მოწყობილია ორმოების ორი სათხრელი ბურღი. ბურღის დღრმავება და ამოღება ტრაქტორზე მოწყობილი მექანიზმებით წარმოებს. იგი ორმოებს თხრის 70 სანტიმეტრზე ხუთი სანტიმეტრი დიამეტრით. ტუმბოს საშუალებით თვითეულ ორმოში ორი ლიტრი წყალი გადაღის, ამ მანქანით ერთ ცვლაში ვაზის სარგავად შეიძლება მომზადდეს 0,5 ჰექტარი ნაკვეთი. მისი გამოყენება ოთხჯერ ამცირებს შრომითს დანახარჯებს.

შაქრის ჭარხლის კვადრატულ-ბუდობრივი კომბინირებული ახალი მისაბმელი სათესი მანქანა „სკგს-6“, რომელიც უკრაინის სს რესპუბლიკამ წარმოადგინა გამოფენაზე, მეტად ხელსაყრელია. მისი გამოყენება სამჯერ და უფრო მეტად ზრდის შრომის ნაყოფიერებას. თესვა წარმოებს ექვს მწკრივად. თესვის ერთდროულად წარმოებს ნაკვეთში მინერალური სასუქის შეტანა. ამ დანიშნულებას ემსახურება სათეს მანქანაზე მოწყობილი მინერალური სასუქის სამი ბუნკერი, თვითეული ორ სათესელ ბუნკერს უწევს მომსახურებას. სათესზე მოთავსებული 600-მეტრიანი მავთულის დიაგონალურ გატანას და თესვის მთელ ტექნოლოგიურ პროცესს ტრაქტორისტი უწევს მომსახურებას, დამხმარე მუშახელი არ სჭირდება. ერთ ცვლაში ითესება 11 ჰექტარი.

დღემდე, იმის გამო, რომ არა გვქონდა თესლის დამყალობებელი მანქანა, შაქრის ჭარხლის რიგთა შორის თესვას ვაწარმოებდით არა დაყალიბებული თესლით, ამიტომ ჰექტარზე საჭირო იყო სულ ცოტა 32 კილოგრამი. ახლა ეს დანაკარგები თავიდან აცილებულია. გამოფენაზე წარმოდგენილია შაქრის ჭარხლის თესლის დამყალობებელი მანქანა.

დიდ ინტერესს იწვევს ამ კულტურის მელი ახალი სათესი მანქანა „სზტნ-47“, რომელიც წარმოდგენილია გამოფენაზე, საშემოდგომო თავთავიანი კულტურების 24 მწკრივად თესვის პარალელურად აწარმოებს მრავალწლიანი ბალახების ჩათესვას 23 მწკრივად. მას ცალცალკე აქვს მოწყობილი მარცვლეულისა და ბალახის სათესლე ყუთები. მარცვლეულისა და მრავალწლიანი ბალახების ერთდროული თესვა ერთისამად და უფრო მეტად ზრდის შრომის ნაყოფიერებას. ეს სათესი მანქანა ემსახურება ერთი ტრაქტორისტი. ამ სათესზე ბალახების ჩათესვა ხდება ორ ბუნკერში ჩასხმული ორ სახეობის ბალახის თესლით. ეს ბალახები ერთ ცვლაში 6 ჰექტარ ნაკვეთზე ითესება

ახალი დიდი ამბავი

ლონდონი, 27 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დეკლარაციის გამო კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ უაღრესად ცხოველი ინტერესი გამოიწვია ლონდონში.

რეიტერის სააგენტომ მაშინვე დაიწყო ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადების ძირითადი ნაწყვეტების გადაცემა, ხოლო შემდეგ — გადასცა დაწვრილებითი შინაარსი, როგორც დღევანდელი მთავარი ამბავი.

სააგენტო გამოჰყოფს განცხადების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ თუ კოლონიურმა სახელმწიფოებმა „კვლავაც შეუშალეს ხელი ჩაგრული ხალხების განთავისუფლებას და წვიდნენ მათი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ამ ხალხებს აღარა დარჩენიათ რა, გარდა იმისა, რომ გადამწყვეტი ბრძოლით აღმოფხვრან ყველა დაბრკოლება, რომლებსაც მათ გზაზე ქმნიან. ამ ბრძოლაში ისინი მარტონი არ იქნებიან“.

ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადება მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია

გუდაკეშტში გიზგიზებენ ახალი ცხოვრების ჩირაღდნები

ამერიკის კონტინენტზე დადის თავისუფლების აჩრდილი

კოლონიალისტები სამარეს უთხრიან საფრანგეთს

სუკარნო ათვალიერებს მშენებლობას

ჯაკარტა, 27 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სუკარნომ დათვალიერა სამშენებლო მოედანი ჯაკარტის ახალი სტადიონისა, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება. პრეზიდენტს დათვალიერების დროს ახლდნენ განათლებისა და კულტურის მინისტრი პრიონო, ჯაკარტის მერი სუმარნო, სსრ კავშირის ელჩი ინდონეზიაში ნ. ა. მიხაილოვი, საბჭოთა სპეციალისტები, რომელნიც სტადიონის მშენებლობაში მონაწილეობენ. საბჭოთა სპეციალისტებთან და ელჩთან საუბარში პრეზიდენტმა სუკარნომ ხაზი გაუსვა, რომ სტადიონის აგება სსრ კავშირისა და ინდონეზიის ხალხების მეგობრობის მონუმენტის მშენებლობაა.

ალჟირი იბყრობს. არა!

პარიზი, 27 დეკემბერი. (საკდესი). ალჟირის საკითხზე მომავალი რეფერენდუმისათვის მზადების ფარგლებში გუშინ საღამოს დაიწყო სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა გამოსვლები საფრანგეთის რადიოთი. გუშინ ფრანგ რადიომსმენელებს მიმართეს „დამოუკიდებელთა და გლეხთა ეროვნული ცენტრის“ პარტიის გენერალურმა მდივანმა როჟე დიუშემ და რადიკალთა და რადიკალ-სოციალისტთა პარტიის თავმჯდომარემ ფელიქს გაიარმა.

მთელი თავისი გამოსვლა დიუშემ მიუძღვნა კოლონიალისტური ლოზუნგის პროპაგანდას „ალჟირი — ფრანგული“, ამტკიცებდა რა, რომ საფრანგეთის მიერ ალჟირის საბოლოოდ შთანთქმა არის „ერთადერთი ფორმა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ ღირსებასა და ინტერესებს“.

რადიკალთა და რადიკალ-სოციალისტთა პარტიის სახელით გაიარმა გაილაშქრა მომავალი რეფერენდუმის წინააღმდეგ, ხაზი გაუსვა რადიკალების უარყოფითს დამოკიდებულებას რეფერენდუმის თვით პრინციპისადმი და განაცხადა, რომ მისი პარტია ხმას მისცემს მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ ალჟირის საკითხში.

საფრანგეთის მთავრობაც სარგებლობს ყოველგვარი შესაძლებლობით, რათა მიიმხროს ამომჩეველები. გუშინ ქალაქ ტურში მერების კრებაზე სიტყვა წარმოთქვა პრემიერ-მინისტრმა დებრემ. მან განაცხადა, რომ საფრანგეთი მზად არის განაახლოს მებრძოლი ალჟირის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება, რომელიც ამა წლის ზაფხულში მიმდინარეობდა მელენში, მაგრამ მან აქვე წამოაყენა ამ მოლაპარაკებისათვის ისეთი პირობები, რომლებიც სრულიად აქარწყლებენ ამ განცხადებას. კერძოდ, დებრემ მოითხოვა წინასწარი „შეწყვეტა ცეცხლისა“, რაც საფრანგეთის ხელმძღვანელთა ენაზე ნიშნავს ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის კაპიტულაციას, და ფაქტიურად უარი თქვა იცნო ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის ის უფლება, რომ ალჟირელი ხალხის წარმომადგენელი იყოს მოლაპარაკებაში.

* * *

სურათზე: დემონსტრანტები ალჟირის ქუჩებში.

ლატინური ამერიკა ხმას იმაღლებს

მეხიკო, 27 დეკემბერი. (საკდესი). 1961 წლის მარტში ქალაქ მეხიკოში გაიმართება ლათინური ამერიკის ეროვნული სუვერენიტეტის, ეკონომიური განთავისუფლებისა და მშვიდობის მხარდაჭერის კონფერენცია, რომლის საორგანიზაციო კომიტეტმა გაზეთ „პოპულარში“ გამოაქვეყნა მიმართვა „მთელი პატრიოტული, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალებისადმი, რომლებიც ზრუნავენ ნამდვილი ეროვნული ინტერესებისათვის“.

„ახლა, როცა თანამედროვე იარაღის კოლოსალური დამანგრეველი ძალა არღვევს და ზღუდავს შემოქმედებითს საქმიანობას მსოფლიო კატასტროფის მუქარით, — ნათქვამია კერძოდ მიმართვაში, — მუდმივი მშვიდობის უზრუნველყოფას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. ლათინური ამერიკისათვის უცხო როდია ეს შეშფოთება. მის ხალხებს არ სურთ კვლავ იცხოვრონ სიღატაკეში, უმეცრებასა და ანტისანიტარიულ პირობებში. ისინი უარს ამბობენ გარდაუვალად ცნონ დამოკიდებული მდგომარეობა, უცხოეთის ექსპლოატაცია და ხელისუფლების ტირანული გამოყენება. მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლესი განვითარების ეპოქაში მოსახლეობის ფართო მასები მოითხოვენ ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველყოფას მათთვის; ისინი მოითხოვენ თავისუფლებას, ეკონომიური პროგრესსა და კულტურის სიკეთეს.

ხალხებს სურთ თვითონ განსაზღვრონ თავიანთი ბედი, მაგრამ ჩვენს ქვეყნებში მათ არ შეუძლიათ ეს ახლანდელ პირობებში. მათ ყველაზე სანუკვარ მისწრაფებებს უპასუხებენ პოლიტიკით, რომელიც ზღუდავს სუვერენიტეტსა და მოქალაქეობრივ თავისუფლებებს, ფეხქვეშ თელავს უფლებებს, ხელს უშლის ეკონომიურ განთავისუფლებას, ახშობს ეროვნული კულტურის გამოვლინებას, მნიშვნელოვან რესურსებს ხმარს სამხედრო ხარჯებსა და ახდენს ჩვენი ხალხების იზოლაციას ერთმანეთისაგან და დანარჩენი მსოფლიოსაგან.

კუბელი ხალხის მძლავრი რევოლუციური მოძრაობა არის ყველაზე ნათდგილი გამოხატულება სამართლიანობისადმი, თავისუფლებისა და მშვიდობისადმი მისწრაფებისა, რასაც იზიარებს 200 მილიონი ლათინურამერიკელი. ამიტომ კუბამ და მისმა რევოლუციურმა მთავრობამ ხალხის მხურვალე მხარდაჭერა პოვეს და სოლიდარობის სტიქიური მძლავრი მოძრაობა გამოიწვიეს დასავლეთ ნახევარსფეროსა და მთელ მსოფლიოში. ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ კუბის დაცვა არის ლათინური ამერიკის დაცვა და რომ სისტემატური აგრესიული მოქმედება კუბის წინააღმდეგ ისევე, როგორც თვითეული ჩვენი ქვეყნის ძოძიჭნავე წყლებისა და ტერიტორიების საჰაერო სივრცის დარღვევა, არის ჩვენი ხალხების ეროვნული სუვერენიტეტის, ამერიკის ყველა ქვეყნის უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობის სერიოზული ხელყოფა.

როგორც კუბის მაგალითმა გვიჩვენა, არც ერთ ჩვენს ხალხს არ შეუძლია იზოლირებული იყოს საერთაშორისო მოვლენებისაგან. ცივი ომით, გამალებული შეიარაღებითა და ატომური იარაღით წარმოშობილი საერთაშორისო დაძაბულობა სავსებით აშკარად ახდენს გავლენას ჩვენი ხალხების უმნიშვნელოვანეს ინტერესებზე. ამიტომ ჩვენი ეროვნული მოთხოვნები განუყოფელია განიარაღების კოლონიალიზმის ლიკვიდაციის საკითხებისაგან, შშვიდობიანი თანაარსებობისა და საყოველთაო მშვიდობის საკითხებისაგან, ურომლისოდაც ჩვენი ქვეყნების ეკონომიური, სოციალური და კულტურული პროგრესი შეუძლებელია“.

მიმართვაში ნათქვამია, რომ მომავალ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ლათინური ამერიკის ყველა ორგანიზაციასა და ჯგუფს და რომ კონფერენცია ეწყობა „იმ პრობლემების განსახილველად, რომლებიც დაუყოვნებლივ და ქმედითს გადაჭრას მოითხოვენ“.

გაზეთი „პოპულარი“ აღნიშნავს, რომ მიმართვას ხელი მოაწერეს 40-ზე მეტმა მექსიკელმა დეპუტატმა და სენატორმა, აგრეთვე პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, მეცნიერებმა, მრეწველებმა, მხატვრებმა, ჟურნალისტებმა, სტუდენტებმა და სხვ.

საზარელი გამოწვევა

ბერლინი, 27 დეკემბერი. (საკდესი). ცნობამ სამხრეთ აფრიკის ფედერაციის ბომბის აფეთქების შესახებ დიდი აღშფოთება გამოიწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობაში. როგორც ადნის სააგენტო იუწყება, მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილემ რიჰარდ ცენკერმა განაცხადა: „აფრიკის მოსახლეობის ნების წინააღმდეგ განხორციელებული ატომური ბომბის აფეთქება საფრთხეს უქმნის აფრიკის კონტინენტის მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

რ. ცენკერმა მოუწოდა გერმანელებს გააძლიერონ ბრძოლა ატომური და წყალბადის იარაღის ლიკვიდაციისა და საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის.

ტელეგრაფი გვატყობინებს

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლების კრებული საფრანგეთში

პარიზი, 28 დეკემბერი. (საკდესი). პარიზში დიდი ტირაჟით გამოვიდა კრებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-15 სესიაზე.

კრებულის სათაურია: „გავაერთიანოთ ყველა ხალხის ღონისძიებანი მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში“.

კრებული, რომელიც მოამზადა ჟურნალ „ეტიუდ სოვიეტიკმა“, გასაყიდად მიღებულია პარიზისა და პროვინციის წიგნის მაღაზიებსა და გაზეთის კიოსკებში.

ჯოლანდიის საწარმოთა ნაციონალიზაცია

ჯაკარტა, 27 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ანტარის სააგენტო იუწყება, ინდონეზიის მთავრობამ მოახდინა ჰოლანდიის შვიდი ყოფილი ფარმაცევტიული საწარმოს ნაციონალიზაცია ჯაკარტაში, ბოგორში, ბანდუნგსა და სხვა ქალაქებში.

ლ. ბ. ბ. ბ

ქართული მუსიკის ამაგდარი

ლ. აღნიაშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო

„შაბათს, 15 ნოემბერს, ერთი ფრიად სასიამოვნო და ახალი ამბავი მოხდა. ქართულ თეატრში გამართული იყო ქართული კონცერტი. ქართულმა ხორომ იგალობა ჩვენი საერო სიმღერები... დიდი მადლობა გვმართებს ბ-ნ აღნიაშვილისა, რომელმაც ეს მართლა საბელოვანი საქმე იკისრა, შეპყარა ხორო, გაგვიმართა ქართული კონცერტი და დაგვატკბო იმ მივიწყებულის ხმებით, რომლითაც მღეროდნენ ჩვენი წინაპარნი და რომელსაც ისეთი აღტაცებით ისმენდა იმ ღამეს თეატრში შეყრილი საზოგადოება...“

პირველ ქართულ კონცერტზე ესოდენ მაღალი აზრი, 1886 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული, ეკუთვნის დიდ ილიას.

ასეთი პატრიოტი მშობლიური მუსიკალური კულტურისა, და არა მარტო მუსიკალურისა, იყო ლადო აღნიაშვილი. მხოლოდ მის დაუცხრომელ ბუნებას და გოლიათურ ნებისყოფას შეეძლო ყველა წინააღმდეგობის გადალახვა და სინათლეზე გამოტანა ცარიზმის მიერ დევნილი ქართული ეროვნული ხელოვნების საგანძურისა, რომლის სახელია ხალხური სიმღერა.

ლადო დიმიტრის-ძე აღნიაშვილი დაიბადა 1860 წელს სოფელ შილდაში მღვდლის ოჯახში. შილდა, სადაც ლადომ თავისი ბავშვობა გაატარა, ცნობილია უძველესი სამუსიკო ტრადიციებით, ხალხური სიმღერის სახელგანთქმული ოსტატებით, რომელთა შთაგონებული მღერა მუდამ აღაფრთოვანებდა შთაბეჭდილებიან და მგრძნობიარე პატარა ლადოს.

პირველდაწყებითი სწავლა ლადომ თელავის სახელიერო სასწავლებელში მიიღო. შემდეგ მეცადინეობა გორის სამასწავლებლო სემინარიაში განაგრძო, რომელიც 1881 წელს დაამთავრა.

თუ როგორ პირობებში ჩამოყალიბდა პირველი ქართული ეთნოგრაფიული გუნდი და როგორი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით შეუდგა მის ორგანიზაციას ლ. აღნიაშვილი, ამის შესახებ მოგვითხრობს მისი ახლო მეგობარი, პედაგოგი ალ. მირიანაშვილი: „...მარტო ფანატიკოსს თუ შეუძლიან არ დაზოგოს ის დაუშრეტელი ენერგია, დაუსვენებელი შრომა, აუარებელი ხარჯი, რაც განსვენებულმა მოანდომა მომღერალთა გუნდის დაარსებას.

ქართული საზოგადოება გუნდის მუშაობას თვალყურს ადევნებდა და მის პირველ კონცერტს მოუთმენლად ელოდა. დადგა ეს სანატრელი დღეც. გაზეთ „ივერიაში“ 1886 წ. 15 ნოემბერს დაიბეჭდა პირველი განცხადება პირველი ქართული ხალხური გუნდის პირველი კონცერტისა.

ამავე წლის 26 დეკემბერს შედგა „ქართული ხოროს“ მეორე გამოსვლა ახალი პროგრამით. ორივე კონცერტმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. შემდეგ ამისა გუნდი მიიწვიეს ქუთაისში, სადაც ადგილობრივმა საზოგადოებამ გუნდს გულთბილი შეხვედრა მოუწყო — კონცერტს დაესწრო გამოჩენილი ქართველი მწერალი ალ. ყაზბეგი, რომლის გამო ცნობილი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი თავის მოგონებაში წერდა: „...ქართულმა გუნდმა აღნიაშვილისამ ხომ კინაღამ გადარია. დაგვიწყო ახლა კიდევ სხვა ხანა აეკვეტებისა, აღდგენისა, — მითხრა ომან ქუთაისიდან ჩამოსვლისას, — მოვეს-წარ მწერლობის აღდგენას, მოვესწარ თეატრის დაფუძნებას და წარმატებას, მოვესწარ კიდევ საერო სიმღერების აღდგენას“.

გუნდის ასეთმა წარმატებამ ფრთები შეასხა ლ. აღნიაშვილს. მას ახარებდა და ძალღონეს მატებდა ფართო წრეების დაინტერესება ქართული ხალხური სიმღერებით. იგრძნო რა ხალხური მუსიკალური შემოქმედების სურნელება, მისი დამატყვევებელი სილამაზე, მომხიბვლელობა, აგრეთვე მისი სიდიადე და ზემოქმედების ძალა, ქართველი ინტელიგენცია ჩაება გუნდის მუშაობაში, რამაც ნიჭიერი ახალგაზრდობა თანდათან მიიზიდა. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ძმები ფალიაშვილები — ივანე და ზაქარია, რომლებისთვისაც ეს გუნდი სკოლა იყო.

ამგვარად „ქართული ხორო“ ეროვნული მუსიკალური კულტურის ნამდვილ კერად გადაიქცა. მაგრამ ლადო აღნიაშვილი მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდებოდა. მან თანდათან გაფართოვა გუნდის მოღვაწეობა — ჩამოაყალიბა ქალთა ანსამბლი, შეადგინა კამერული ორკესტრი, რომელიც ასრულებდა კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძის ქართული ხალხური სიმღერების პოპურის, დგამდა ცოცხალ სურათებს გუნდის თანხლებით.

ყველაზე მნიშვნელოვანია, მელიტონ ბალანჩივაძის გარდა, გუნდთან დაახლოება მისი თანამედროვე მუსიკოსების — ან. ბენაშვილის, ფილ. ქორიძის, ია კარგარეთლის, ივანე სარაჯიშვილის, კორნელი მაღრაძის, ზაქ. ჩხიკვაძისა, რომლებიც ეხმარებოდნენ გუნდს სიმღერების ჩაწერაში და რეპერტუარის გამდიდრებაში.

აქვე შევნიშნავთ, რომ გუნდი თავიდანვე ასრულებდა შვედურ, ფრანგულ, ჩეხურ, გერმანულ ოთხმაგან სიმღერებს — „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“, „ალდგე, გმირთ-გმირო“, „მთის მწვერვალი“, „ჰარმონია“ და სხვ. მის რეპერტუარში ვხვდებით აგრეთვე ვოკალურ დუეტებს, ტროიოს, სოლო სიმღერებს, როგორც მაგალითად „ნუ სტირი“ ანტ. რუბინშტეინის ოპერიდან „დემონი“, „გახსოვს, ტურფავ“, რომელსაც ასრულებდნენ გუნდის თანხლებით, და ა. შ. 1888 წ. აღნიაშვილმა შექმნა ხალხური საკრავების ორკესტრი, როგორც თვითონ წერს — „შემდგარი 13 სხვადასხვაგვარი ქართული დასაკრავებისაგან, რომლებსაც დაუკრავს 25 კაცი. დასაკრავი იარაღები უკვე შეძენილია, მზადება ამიერკავკასიასა და რუსეთში გასამგზავრებლად. მას მიზნად ჰქონდა აგრეთვე საფრანგეთის ქალაქებში მოგზაურობა. ამასთან დაკავშირებით, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის იოსებ იმედაშვილის ცნობით, ლადომ მოიწვია ფრანგული ენის მასწავლებლად საფრანგეთიდან ახლად დაბრუნებული პეტრე მირიანაშვილი.

სამწუხაროდ, იმ ძნელ, უიმედობის ხანაში ამ გუნდმა დიდხანს ვერ იარსება და 1890 წელს დაიშალა.

დღეს ქართული მუსიკა ულერს ამაყად, მთელი ხმით. მას ასრულებენ არა მარტო საქართველოში, არამედ მოძმე რესპუბლიკებში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის საზღვრებს მიღმა.

და ამაში განუზომელია ლადო აღნიაშვილის დამსახურებაც, რომელმაც თავისი პატარა გუნდით დიდი ეროვნული საქმე გაკეთა — ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მატიანეში გადამწყვეტი გარდატეხა მოახდინა.

გრიგოლ ჩხიკვაძე.
პროფესორი.

• • •

სურათებზე: ზემოთ (მარცხნივ) ლადო აღნიაშვილი. მარჯვნივ — ივანე და ზაქარია ფალიაშვილები, რომლებიც მღეროდნენ ლადო აღნიაშვილის გუნდში. 1887 წელი. ქვემოთ — ლადო აღნიაშვილის პირველი ქართული გუნდი. 1885 წელი.

ჩემი ყვავილეთი

სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ქართულმა დასმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა ახალი წარმოდგენა — მარიკა ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთი“, რომელიც გიორგი სულიკაშვილმა დადგა.

მსატვრობა ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. ვერულეიშვილს. კომპოზიტორია მ. ბერიკაშვილი.

წარმოდგენაში მონაწილეობენ შ. კიკნაძე, თ. ბოლქვაძე, თ. მელაძე, ნ მასხულია, ნ. ყიფიანი, ვ. სალაყაია, ბ. წიფურია, ვ. ნეფარიძე, ფ. შედანია, ო. ხაჩატუროვა, თ. ბაბლიძე, ი. ოქროპირიძე. ქ. ლოლაძე და სხვები.

სოხუმის ქართული დრამის თეატრი ამჟამად დასადგმელად ამზადებს აკაკი გეწაძის ისტორიულ დრამას — „დღე-ღამის ჰიდილი“, რომელიც ასახავს დიდ ქართველი მეგავარაკისა და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრების ბოლო წლებს.

პიესას დგამს ქართული დრამის მთავარი რეჟისორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლეო ჰედია.

ახალი წიგნები

ი. გრიშაშვილი — თეატრალური წერილები. წიგნი შედგება ორი განყოფილებისაგან. პირველში მოთავსებულია გამოკვლევები რევოლუციამდელი ქართული თეატრისა და დრამატურგიის ისტორიიდან: „ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“, „ალექსანდრე ყაზბეგი როგორც მსახიობი“, „ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი“, „ავქსენტი ცაგარელი“, „გაბრიელ სუნდუკიანცი და ქართული საზოგადოებრიობა“; მეორე განყოფილებაში მოთავსებულია საინტერესო მოგონებები ლადო მესხიშვილზე, კოტე მარჯანიშვილსა და ვერიკო ანჯაფარიძეზე. წიგნის რედაქტორია დ. ჩხეიძე, მხატვრობა ეკუთვნის ჯ. გოგუას. გამომცემლობა „ხელოვნება“. გვერდი 168, ფასი 8 მან.

ა3. ცანავა — სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში. წიგნი შედგება შემდეგი თავებისაგან: „სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ პროზაში“, „სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ პოეზიაში“, „სატირა და იუმორი ანდაზებსა და გამოცანებში“, „სატირა და იუმორი მახვილსიტყვაობაში“, „სატირულ-იუმორისტული ზღაპრებისა და პოეტური ნიმუშების ზოგიერთი ჟანრობრივი და მხატვრული თავისებურებანი“. წიგნის რედაქტორია მ. ჩიქოვანი, მხატვარი — გ. ნადირაძე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. გვერდი 204, ფასი 9 მან. 20 კაპ.

მზეზე უმძლავრესი

დაბა ნაუჩნი (ყირიმის ოლქი). 27 დეკემბერი (საკუთარი კორ. მ. ტუროვსკი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყირიმის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომთა ჯგუფი ვარსკვლავთა ფიზიკის განყოფილების გამგის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ვ. ბ. ნიკონოვის ხელმძღვანელობით დაამთავრა ახალი ვარსკვლავის — 1960 წლის ახალი ჰერკულესის შესწავლის პირველი ეტაპი. ჰერკულესის ვარსკვლავეიდის ახალი ვარსკვლავის კომპლექსური შესწავლა ყირიმელმა ასტრონომებმა დაიწყეს მიმდინარე წლის 9 მარტს ღამით. სპექტრული დაკვირვება წარმოებდა ორი თვის მანძილზე, ხოლო ფოტოელექტრული-შუქისა და ელვარების შესწავლა — აგვისტომდე. მიღებულია 120-მდე სპექტროგრამა.

რა გვიჩვენა ამ სპექტროგრამების ანალიზმა?

ასეთი კითხვით მიმართა კორესპონდენტმა ობსერვატორიის მეცნიერ თანამშრომელს ი. მ. რუბინოვიჩს.

— ჩვენ, — თქვა მან, — უკვე განვსაზღვრეთ ვარსკვლავის სპექტრის ზოგიერთი დახასიათება. მიღებული მასალები საშუალებას გვაძლევენ დავადგინოთ, რომ ამოფრქვევისას ვარსკვლავმა იმდენი ენერგია გამოჰყო, რამდენსაც მზე დაახლოებით ასი ათასი წლის მანძილზე გამოჰყოფს. ამოფრქვევისას ვარსკვლავს გამოეყო ზედა შრეები, რომლებიც შორდებოდა მას წამში დაახლოებით 1.800 კილომეტრი სისწრაფით.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მანძილი ვარსკვლავამდე დაახლოებით 500 მილიონჯერ მეტია, ვიდრე მანძილი მზემდე, ანუ დაახლოებით 4 ათას შუქწელს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ ვარსკვლავი ამოიფრქვევა დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინათ, ოღონდ ახლა ჩვენამდე მხოლოდ ახლა მოაღწია.

ყირიმის ობსერვატორიაში მიღებული მასალების მიხედვით გრძელდება თვით ვარსკვლავის ტემპერატურის, გარსის მასისა და დახასიათებათა შესწავლა. ეს დაეხმარება ასტრონომებს მიიღონ ზოგიერთი ახალი ცნობები პროცესების (შესაძლო თერმოიატომური პროცესების) ხასიათის შესახებ, რომლებიც ასეთ ვარსკვლავთა ამოფრქვევას იწვევენ.

ახალი ვარსკვლავისათვის სახელი არ დაურქმევიათ, და ჯერჯერობით უწოდებენ 1960 წლის ახალ ჰერკულესს.



ზღვის მეკობრე!



ეს იყო ა. წ. 4 ნოემბერს 11 საათზე მოსკოვის დროით ხმელთაშუა ზღვაში. საბჭოთა სატვირთო თბომავალი „ფალეშტი“ საფრანგეთის ნავსადგურ მარსელიდან ოდესაში ბრუნდებოდა. ღია ზღვაში მას წამოეწია ამერიკის შეერთებული შტატების საზღვერო-საზღვაო ძალების საესკადრო ნადმოსანი № 817.

ამას წინათ თბომავალი „ფალეშტი“ ოდესის ნავსადგურში მივიდა. ამ გემის მეზღვაურებმა დაწვრილებით ილაპარაკეს ამერიკელ მეკობრეთა პროვოკაციული მოქმედების შესახებ. ნაოსნობის თავისუფლების პრინციპების უხეში დარღვევის ეს ფაქტი დოკუმენტურად ასახა ფოტოაფსკზე გემის მატროსმა ვ. კაზაჩენკომ. აქ მოთავსებულია მისი გადაღებული ორი სურათი. ერთზე აღბეჭდილია, როგორ უახლოვდება ჰორიზონტზე ამერიკელი მეკობრე საბჭოთა გემს; მეორეზე — ამერიკის ნაღმოსანი მსხვილი პლანით საბჭოთა გემის ახლოს.

„მზიან ტბაზე“

დაბა ბაკურიანის ახლოს მთის პატარა ტბაზე, რომელსაც ჩვენ „მზიანი ტბა“ ვუწოდეთ, გაიხსნა საქართველოში პირველი ნამდვილი ყინულის საცეკურაო ფიგურული ციგურაობისა და ჰოკეისათვის.

თვით ტბის ფართმა (სიგრძე 65 მეტრი, სიგანე — 40 მეტრი) შესაძლებლობა მოგვცა მოგვეწყო იქ ჰოკეის ნორმალური საცეკურაო ზომით 61X30 მეტრი. ტბაზე ყინულის სისქე — 20-21 სანტიმეტრი — მას საკმაოდ ვარგისს ხდის ექსპლოატაციისათვის. საცეკურაოს მოწყობას ბევრი შრომა მოანდომეს ბაკურიანის სამთო-სათხილამურო ბაზის მუშაკებმა ლ. ფანჯაკიძემ, ნ. მიქაბერიძემ, მ. კოზანაშვილმა, ფიგურული ციგურაობის მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა ე. პლინერმა, ს. პოლეტუხინმა, დ. ჯალიაშვილმა, ტ. ხანიაშვილმა, ი. კუკულაძემ და სხვ.

და აი საცეკურაოს სარკისებრ ზედაპირზე გამოვიდნენ პირველი მოციგურავენი. ჯერჯერობით მათი რიცხვი 30-ს აღწევს, ყველაზე უფროსი 20 წლისაც არ არის, ხოლო საშუალო ასაკია 12-13 წელი!

ფიგურული ციგურაობა სპორტის ფრიად რთული სახეა, რომელიც სპორტსმენისაგან მოითხოვს არა მარტო ცოდნასა და ტექნიკას, არამედ დიდ ფიზიკურ და მორალურ მომზადებასაც. კარგი ფიგურისტი საუკეთესო აკრობატიც, საკმაოდ კარგი გიმნასტიც, მოციგურავეც და მძლეოსანიც უნდა იყოს! ჩვენ ჯერ კიდევ არ გვიქვამს ქორეოგრაფიის, ციკვის, პლასტიკის ხელოვნებაზე, რომლებსაც აგრეთვე სრულყოფილად უნდა ფლობდეს სპორტსმენი. ვითვალისწინებდით რა ყოველივე ამას, პირველ ყინვებამდე დიდი ხნით ადრე — ჯერ კიდევ სექტემბერში შევარჩიეთ ნიჭიერი ახალგაზრდები. 1000-ზე მეტი კაციდან შერჩეულ იქნა 290, რომლებმაც ვარჯიში დაიწყეს სასპორტო დარბაზში გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით. ასეთი ცდა პირველი იყო, მუშაობა გვიხდებოდა ისე, რომ არა გვქონდა ხელმძღვანელი მეთოდური მითითებანი. მეცადინეობას ჯგუფებში (რომლებიც დაყოფილი იყო ასაკობრივი პრინციპით) 6-7 წლის, 8-11 წლის, 12-15 წლის ბავშვებთან ვაწყობდით კვირაში სამჯერ.

ბავშვები ეროვნულ ცეკვებს სწავლობდნენ გ. ლაცაბიძის ხელმძღვანელობთ, ხოლო ქორეოგრაფიას — გამოცდილ მწვრთნელების ა. ტიუაევას და გ. გედევანიშვილის ხელმძღვანელობით. სპეციალურ მომზადებას კი სათავეში ედგა სპორტის ოსტატი ფიგურულ ციგურაობაში ე. პლინერი.

ახალგაზრდა მწვრთნელი შემოქმედებითად მიუდგა საკითხს, ცდილობდა გამოეყენებინა ყველა შესაძლებლობა ნორჩ სპორტსმენთა უკეთ მომზადებისათვის. ამ მიზნით წარმოებდა მეცადინეობა ერთმწკრივიანი გორგოლაჭებიანი ციგურებით, სატანვარჯიშო იარაღით, სხვადასხვა ვარჯიში ხტომებში. მომზადებულ იქნა სპეციალური ძელაკები იატაკზე ტრიალისათვის, წარმოებდა მეცადინეობა აკრობატიკაში და ა. შ.

ასეთმა მომზადებამ გაამართლა თავისი დანიშნულება: როცა ნოემბერში თბილისში ჩამოვიდა ანსამბლი „ბალეტი ყინულზე“ და ფიგურისტებს შესაძლებლობა მიეცათ გამოსულიყვნენ ხელოვნურ ყინულზე, სპეციალისტები გაოცა ჩვენი ახალგაზრდა ფიგურისტების წარმატებამ, რომლებმაც მოკლე ხანში აითვისეს ფიგურული ციგურაობის ცალკეული ელემენტები.

თბილისში ანსამბლის ყოფნის 40 დღის მანძილზე ახალგაზრდა ფიგურისტებმა შეძლეს ემეცადინათ ყინულზე 6-8-ჯერ (ყინულს მათ ძალიან შეზღუდული დროით უთმობდნენ).

დეკემბრის დამდეგს მწვრთნელთა საბჭომ მოაწყო შემოწმება ყველა ფიგურისტისა, რომლებიც მეცადინეობდნენ. კარგი მომზადება აჩვენეს 6-7 წლის ფიგურისტებმა ნ. სირაძემ, ნ. მეკვანაძემ, თ. ჯიქიამ, ნ. ჯანელიძემ.

უფრო „ხნიერი“ — 8-11 წლის ფიგურისტებიდან საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს ა. მამაცაშვილმა, ნ. ქემოკლიძემ, ა. გაგუამ, ნ. სიხარულიძემ.

სასიამოვნო საყურებელი იყო 12-14 წლის მ. წიგნწოვაძის, ი. არხანგელსკაიას, რ. დოლიძის, ნ. მანჯგალაძის, მ. ცინცაბაძის, ი. ჯაფარიძის ციგურაობა. ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა დ. ჯალიაშვილმა, გ. ხანიაშვილმა, ზ. ალავიძემ და სხვ.

ისინი ჩამოვიდნენ ბაკურიანში, რათა დასწრებოდნენ რესპუბლიკაში პირველი ბუნებრივი ყინულის საცეკურაოს გახსნას, რომელიც ყველა წესის მიხედვით არის მომზადებული და შესაძლებელს ხდის ყოველგვარი რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრების მოწყობას.

ფიქვნარით 22-25 წუთის სვლის შემდეგ მუხლუხა საწეკარს სპორტსმენები გაჰყავს მოედანზე „მზიან ტბასთან“. გარშემო ტყე, წარმტაცი ტბის ადგილმდებარეობა. მაგრამ ყველაზე საინტერესოა სარკისებრი ყინულის საცეკურაო.

ბავშვები მიეშურებიან მისკენ. ენთუზიასტებს უზრუნიათ გასახდელებზეც — საცეკურაოს ახლოს ორი პატარა სახლია, რომლებშიც ღუმელები, სკამები და ტანსაცმლის დასაკიდებლებია.

საცეკურაო სავსეა აღტაცებული ნორჩი სპორტსმენებით. ისინი დასრიალებენ ჩვენს, ქართულ საცეკურაოზე...

დასაწყისი მიეცა დიდ საქმეს.

ახლო მომავალში აქ ალბათ იქნება კეთილმოწყობილი მისასვლელი გზა, აშენდება ბაზა. ამ მომზადდება ფიგურისტების, მოციგურავეებისა და ჰოკეისტების კადრები, რადგან არსებობს სრული შესაძლებლობა „მზიანი ტბის“ გვერდით აშენდეს ნორმალური საცეკურაო 400-მეტრიანი სარბენი ბილიკით.

კიდევ რამდენი შესანიშნავი ადგილია ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც შეიძლება თითქმის ხარჯის გაუწეველად გაიხსნას ყინულის ბუნებრივი საცეკურაოები და რა სიხარულის მოტანა შეუძლიათ მთა ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობისათვის.

ა. არხანგელსკი.
მთავარი მწვრთნელი, საქართველოს სპორტის ზამორის სახეობათა ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

• • •

სურათზე: მოციგურავეები „მზიან ტბაზე“.

სილამაზის, მხნეობის დემონსტრაცია

სპორტის სხვადასხვა სახეობათა შორის სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ტექნიკური სპორტი.

ეს შემთხვევითი მოვლენა როდია. ყოველწლიურად იზრდება ჭაბუკებისა და ქალიშვილების რიცხვი, რომლებიც მძღოლობას, მოტოციკლისტობას, მოტორისტობას, რადისტობას ეუფლებიან. ათასობით ახალგაზრდა, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სასწავლო ორგანიზაციების, კლუბების, წრეებისა და კურსების დამთავრების შემდეგ სპორტსმენთა რიგებში დგება, აქტიურ მონაწილეობას იღებს ასპარეზობებში, იმაღლებს ოსტატობას.

ტექნიკური სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკავშირო სპარტაკიადას, რომელიც 1960-1961 წლებში გაიმართება. ამ შეჯიბრებას აწყობს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი საკ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად.

საქართველოს სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებს ტექნიკური სპორტის 160-ზე მეტი გუნდი აფხაზეთიდან, აჭარიდან, სამხრეთ ოსეთიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან. სპარტაკიადაზე გამოდიან ნაკრები გუნდები ტექნიკური სპორტის 11 სახეობაში — საავტომობილო, სამოტოციკლო, საავიამოდელო, საავტომოდელო, სამოტორო-საწყლოსნო, ნიჩბოსნობის, საზღვაო მრავალბრძოლის, წყალქვეშა, რადიო, სასროლო და საზღვაო სამოდელო სპორტში.

პირველი ეტაპის სტარტზე არიან საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სასწავლო ორგანიზაციების ძირეული გუნდები. ეს შეჯიბრება, რომელიც 1 ივნისიდან დაიწყო, გაგრძელდება 1961 წლის 1 აპრილამდე.

მეორე ეტაპზე, უნდა მოეწყოს საოლქო, საქალაქო, და რაიონული სპარტაკიადები, სადაც მონაწილეობას მიიღებენ პირველ ეტაპზე გამარჯვებული გუნდები. ეს ეტაპი დაიწყება 1961 წლის 1 აპრილიდან და გაგრძელდება 10 ივნისამდე. მესამე ეტაპს წარმოადგენს რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელიც ჩატარდება მომავალი წლის 15-დან 30 ივნისამდე.

საკავშირო სპარტაკიადის ფინალი მოეწყობა მოსკოვში 1961 წლის ივლისი-აგვისტოში, სადაც სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად გამოვლენ საქართველოს სპარტაკიადის პრიზიორები:

ახლა ჩვენი რესპუბლიკის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების კომიტეტების მთავარ საზრუნავს წარმოადგენს წარმატებით ჩაატარონ სპარტაკიადა, ამრავლონ ტექნიკური სპორტის ოსტატთა რიგები, იბრძოლონ მისი მასობრიობისათვის.

ს. აგულაძე,
საქართველოს „დოსაააფის“ რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

თოვლიან ბილიკებზე

მიმდინარე სასპორტო სეზონი მიიწურა. ახლოვდება ახალი, 1961 წელი და მასთან ერთად ახალი სეზონის სპორტული ასპარეზობები. ბუნებრივია ახალი წლის დასაწყისში პირველ რიგში ყურადღება გადატანილ იქნება ბორჯომის ხეობის ულამაზეს კუთხისაკენ — დაბა ბაკურიანისაკენ, რომელსაც შემთხვევით როდი უწოდებენ სპორტის ზამთრის სახეობათა ცენტრს.

რა შეხვედრებია მოსალოდნელი ახალი სეზონის დასაწყისში დაბა ბაკურიანში?

8 იანვრიდან დაიწყება პიონერთა და კომკავშირელთა ბასობრივი სათხილამურო ასპარეზობები გადარბენებში. სლალომში. ეს შეჯიბრება ემთხვევა მოსწავლეთა არდადეგების დღეებს.

საერთო ინტერესს იწვევს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოთხილამურეთა ასპარეზობა სამთო სათხილამურო სახეობებში — სლალომში, სწრაფდაშვებაში, სლალომ გიგანტში. ეს შეჯიბრება მოეწყობა 13-დან 16 იანვრამდე. უძლიერესთა შეხვედრებში გამოვლენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც — გ. აბრამიშვილი, ლ. გოგოლაძე, ო. ხვედელიძე, ა. დადვანი და სხვ.

ამავე რიცხვებში ბაკურიანის ნაკრები გუნდი მოსკოვმი მონაწილეობას მიიღებს საქალაქთაშორისო ტრადიციულ ასპარეზობაში ტრამპლინიდან ხტომასა და სამთო ორჭიდში. ბაკურიანელთა რიგებში იქნებიან ცნობილი მოთხილამურეები — კ. წაქაძე, ჯ. თვაური, პ. გავა და სხვ.

და, ბოლოს, 23-დან 28 იანვრამდე ბაკურიანსა და ბოგდანოვკაში ჩატარდება საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საეგბილეო სპარტაკიადა სათხილამურო სპორტში, ფიგურულ ციგურაობაში, ჰოკეიში, ციგურობაში. ჰოკეისტთა ასპარეზობაში ერთმანეთს პირველობას შეეცილებიან თბილისის, ახალქალაქის, მესტიის, აჭარისა და რუსთავის გუნდები.

1960 წლის 29 დეკემბრიდან 1961 წლის 3 იანვრამდე

ამინდი

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, აღმოსავლეთის ხუსტი ზომიერამდე, რიონის ხეობაში დროგამოშვებით ძლიერი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მინიმალური 2-7, მაქსიმალური 11-16 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში მინიმალური 0-5, მაქსიმალური 5-10 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ამავე პერიოდში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ; აღმოსავლეთ რაიონებში ალაგ-ალაგ ნისლი, ხუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მინიმალური 0-5 გრადუსი ყინვა, მაქსიმალური 4-9 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში მინიმალური 4-9 გრადუსი ყინვა, მაქსიმალური 1-6 გრადუსი სითბო.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

29 დეკემბერი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ზვავი (მე-20 აბონ., მე-2 წარმ.), **რუსთველის სახელობის** — როცა ასეთი სიყვარულია, **მარჯანიშვილის სახელობის** — მეზებია, ილიკო და ილარიონი, **გრიბოედოვის სახელობის** — სახიფათო ასაკი, **სანკულტურის** — იუპიტერი იცინის (მე-3 აბონ.), **თოჯინების ქართული** — ხარმაცი კაკო (11 ს.), სიცოცხლის ყვავილი (2 ს.).

ტელევიზია: 19.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „წიგნის თარო“ (რა წაიკითხოთ არდადეგების დღეებში), 19.20 — კინოჟურნალი, 19.30 — ანდრიაშვილის ოპერა „ზვავის“ ტრანსლაცია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან. ანტრაქტში ახალი ამბები.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, გაწცხადებების მიღების — 3-64-42.

УЭ 07944 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.